ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო–საბიუჯეტო კომისია

ოქმი N4

24.04.2024 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თემური დუნდუა
სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თორნიკე კირთაძე
ოლეგი ნაჭყებია
ბექა მორჩილაძე
დავით ბასილაია
სალომე წულაია
ნიკოლოზ იზორია
პაატა ჩაგანავა

ასევე ესწრებოდა:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი — ვასილ თოდუა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი — ინგა გიგიბერია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი — ირმა გუგუშვილი

მოისმინეს: "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის სხდომის დღის წესრიგის შესახებ".

მომხს. თემური დუნდუა

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის დამტკიცების, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის მიერ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესწავლის შესახებ".
2. განკარგულების პროექტი ,,გოეთეს ინსტიტუტის ფილიალი საქართველოშის" მიერ გამოყოფილი გრანტის (5000 ევროს) მიღებაზე თანხმობის მისაღებად, საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობით მიმართვის მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".
3. განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის

განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის N2/5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

4. ინფორმაცია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 3 თვის ანგარიშგება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ გადახდებზე.

მოისმინეს: თემური დუნდუას მოხსენება განკარგულების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის დამტკიცების, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის მიერ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესწავლის შესახებ“

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ და ამ მიმართებით გაწეული მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ საკითხის და საფინანსო დოკუმენტაციის შესწავლის აქტი მიღებულ იქნას ცნობად.

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (ბექა ვაჭარაძე) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ საკითხის შესწავლის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, რისთვისაც:

ა) მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად, მაქსიმალურად უზრუნველყოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ საკითხის შესწავლის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა.

ბ) მერის და შესაბამისი სამსახურების ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ სამუშაოების მიმდინარეობის დროს, არის შემთხვევები პროექტებსა და შესაბამისად სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტებში ცვლილებების ხშირი შეტანისა, რაც იწვევს დადგენილ ვადებში სამუშაოების შეუსრულებლობას.

გ) აღმასრულებელი ხელისუფლების ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ როცა თავისუფალი ნაშთის სახით საკუთარ ანგარიშზე მუნიციპალიტეტს გააჩნია მნიშვნელოვანი თანხები, ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ეს თანხები ოპერატიულად უნდა იქნეს მიმართული არსებული პროექტების გასაგრძელებლად.

დ) გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შემცირება-აღმოფხვრისათვის.

4. გატარებული ღონისძიებების შესახებ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (ბექა ვაჭარაძე) აცნობოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის ბოლომდე.

მომხრე _ 8 წინააღმდეგი _ 0

მოისმინეს: თემური დუნდუას მოხსენება განკარგულების პროექტის ,,გოეთეს ინსტიტუტის ფილიალი საქართველოშის" მიერ გამოყოფილი გრანტის (5000 ევროს) მიღებაზე თანხმობის მისაღებად, საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობით მიმართვის მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ეთანხმება წარმოდგენილ პროექტს შემდეგი შენიშვნის გათვალისწინებით: პროექტში სახელწოდება - „გოეთეს ინსტიტუტი" შეიცვალოს მისი სრულყოფილი სახელწოდებით - უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი „გოეთე ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში".

მომხრე _ 8 წინააღმდეგი _ 0

მოისმინეს: თემური დუნდუას მოხსენება განკარგულების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ზედა ზღვრის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 იანვრის N2/5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ეთანხმება წარმოდგენილ პროექტს და მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

მომხრე _ 8 წინააღმდეგი _ 0

მოისმინეს: თემური დუნდუას ინფორმაცია „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 3 თვის ანგარიშგება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ გადახდებზე"

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: თემური დუნდუას ინფორმაცია „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ და ინფორმაცია „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 3 თვის ანგარიშგება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ გადახდებზე“ ცნობად იქნას მიღებული.

მომხრე _ 8 წინააღმდეგი _ 0

კომისიის თავმჯდომარე თ. თემური დუნდუა